



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)  
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80  
0102 თბილისი, საქართველო  
ცხელი ხაზი: 1481(24/7)  
www.ombudsman.ge  
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

30 აგვ 2024 წ.



KA000072671342324

№ 2024/4184

საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
რატი ბრეგაძეს

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება 2024 წლის 14 აგვისტოს განცხადებასთან ( № 4553/2024) დაკავშირებით<sup>[1]</sup>, რომელიც ეხება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა საფინანსო დეკლარაციაში ასასახი დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროების წესის დისკრიმინაციულობის შეფასებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე ზოგადი წინადადება არ მოიცავს მსჯელობას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის ლეგიტიმურობის შესახებ, რამდენადაც აღნიშნულ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. ამ საკითხზე, საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა სასამართლოს. ამდენად, მოცემულ საქმეში შესაფასებელი სამართლებრივი საკითხია, ადგენს თუ არა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს №1019 ბრძანება დისკრიმინაციულ მოწესრიგებას, როდესაც მისი მოქმედების შედეგად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ საფინანსო დეკლარაციაში ასასახი დასაქმებულთა პერსონალური მონაცემები საჯაროდ გამოქვეყნებას ექვემდებარება.

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი დასაქმებულია ორგანიზაციაში, რომელსაც კანონით ეკისრება ვალდებულება, დარეგისტრირდეს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. იგი სადავოდ ხდის საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს № 1019 ბრძანებით დამტკიცებულ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესს“<sup>[2]</sup> რომლითაც აღნიშნული ორგანიზაციების დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საბანკო ანგარიშის ნომერი) საჯაროდ გამოქვეყნებას ექვემდებარება.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ სადავო რეგულირების შედეგად, მისი პერსონალური მონაცემები საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს, რაც ზღუდავს მის პირადი ცხოვრების უფლებას და გავლენას ახდენს დასაქმებულთა შრომითი უფლებების რეალიზაციაზე.

დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის იდენტიფიცირების მიზნით, განმცხადებელი თავის მდგომარეობას ადარებს იმ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მდგომარეობას, რომლებსაც არ აქვთ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ასეთი ვალდებულება არ აქვთ ორგანიზაციებს, რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალა არ არის და რომლებსაც, შესაბამისად, არ ენიჭებათ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის სტატუსი (ასევე, გამონაკლისთა კატეგორიაში მოხვედრილი ორგანიზაციები). შედეგად, ამგვარ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემები საჯაროდ გამოქვეყნებას არ ექვემდებარება. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ მსგავსი პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება საჯარო მოხელეებზე ან მოსამსახურეებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა შესაძლოა უფრო მაღალი საჯარო ინტერესის მქონე იყოს.

## 2. სამართლებრივი შეფასება

### 2.1. ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამბადებს და შესაბამის დანებებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე<sup>[3]</sup>. ამავე კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დანებებულების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით<sup>[4]</sup>.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან **ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძვლით.**

ვინაიდან განმცხადებელი სადავოდ ხდის საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას და მასთან დაკავშირებულ არახელსაყრელ მოპყრობას, სახალხო დამცველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის იდენტიფიცირებას. აღნიშნული ნიშანი, რომელიც წარმოადგენს განმასხვავებელ ფაქტორს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დაცვისთვის, რომელიც შესაძლოა დისკრიმინაციის რისკის ქვეშ მოექცეს. ამ ნიშნის გამოვლენის შედეგად, სახალხო დამცველი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იყოს დაცული დისკრიმინაციისგან და არ დაექვემდებაროს არათანასწორ ან დისკრიმინაციულ მოპყრობას. შესაბამისად, დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის იდენტიფიკაცია აუცილებელია, რათა სათანადოდ იქნეს დაცული იმ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უფლებები, რომლებიც დისკრიმინაციის რისკის წინაშე დგანან.

სახალხო დამცველმა განიხილა სადავო საკანონმდებლო რეგულაცია და დაადგინა, რომ დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად იკვეთება დასაქმების ადგილი, დამსაქმებელი ორგანიზაციის დაფინანსების წყაროდან და ორგანიზაციის სტატუსიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახად აღქმადია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არახელსაყრელ მოპყრობასა და დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს შორის - დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროება დამოკიდებულია კონკრეტული დაფინანსების წყაროსა და სტატუსის მქონე ორგანიზაციაში დასაქმების ფაქტზე.

წინამდებარე საქმის სამართლებრივი შეფასებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ განხილულ იქნეს სადავოდ ქცეული საკანონმდებლო რეგულაციის შინაარსი და მისი გავლენა კონკრეტულ უფლებებზე. ამ კონტექსტში, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ორგანიზაციის წევრთა მონაცემების გასაჯაროებას, შესაძლოა, ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, რაც ზეგავლენას ახდენს პერსონალური მონაცემების დაცვის, პირადი

ცხოვრების, ასევე გამოხატვისა და გავრთიანების თავისუფლებებზე. გარდა ამისა, აუცილებელია შეფასდეს, თუ როგორ მოქმედებს აღნიშნული რეგულაცია შრომით უფლებებზე. შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის მხრიდან მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

## 2.2. სადავო საკანონმდებლო რეგულირების ანალიზი

სადავო მონესრიგება დადგენილია იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს № 1019 ბრძანებით „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ბრძანება), რომელიც, თავის მხრივ, მიღებულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის [5] (შემდგომში - კანონი) აღსრულების მიზნით.

აღნიშნული კანონის მე-4 და მე-6 მუხლების შესაბამისად, რეგულირებულ სუბიექტებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და **ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებები** ეკისრებათ. რეგისტრაციისა და დეკლარაციის წარდგენის წესს, ისევე როგორც საფინანსო დეკლარაციის ფორმას, ეუსტიციის მინისტრი ადგენს. [6] კანონის თანახმად, „**საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა.** [საჯარო რეესტრის ეროვნული] სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული დეკლარაციის შესაბამის ვებგვერდზე განთავსება და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.“ [7]

კანონი თავად არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა ინფორმაცია უნდა აისახოს საფინანსო დეკლარაციაში. ნორმატიული აქტი მხოლოდ ზღვადად ადგენს, რომ დეკლარაციაში უნდა აისახოს ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ, ასევე ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ. [8]

დეკლარაციაში ასასახი დეტალური ინფორმაცია განისაზღვრა იუსტიციის მინისტრის სადავო ბრძანებით, რომლის თანახმად, „ყოველწლიური დეკლარაცია სააგენტოს უნდა წარედგინოს ამ წესის № 1.1– № 1.12 დანართებით დადგენილი ფორმით.“ [9] სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველს წარმოადგენს დანართი N1.2, რომელიც ცხრილის სახით გამოყოფს შესაბამის ველებს, რომლებშიც წლის განმავლობაში განეული ხარჯები უნდა აისახოს. მოცემული დანართის მიხედვით, დეკლარაციაში ასახული უნდა იყოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ფორმით განეული ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება (ხელფასები, პრემია/დანამატი, სხვა ანაზღაურება), საქონლისა და მომსახურების ხარჯები, პირებისათვის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების გადაცემა (მათ შორის, მცირე ღირებულების აქსესუარები, როგორცაა მაისურები, კეპები, ქუდები, დროშები და ა.შ.) და სხვა ხარჯები. თითოეულ ხარჯთან მიმართებით, დეკლარაციაში უნდა მიეთითოს, მათ შორის: თანხის მიმღები პირის სახელი, გვარი/სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა; თანხის მიმღები პირის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი; თანხის მიმღები პირის საბანკო ანგარიშის ნომერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებში დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების გასაჯაროება განსაზღვრულია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი ფორმით, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნებას ექვემდებარება. მართალია, ზოგადად, წლის განმავლობაში განეული ხარჯების ამსახველი ფინანსური დეკლარაციის წარდგენისა და გამოქვეყნების ვალდებულებები განსაზღვრულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონით, თუმცა აღნიშნული ვალდებულებების აღსრულება ხდება სწორედ მინისტრის ბრძანების შესაბამისად. თავის მხრივ, ნიშანდობლივია, რომ კანონის ზემოთ აღნიშნული მუხლები პირდაპირ არ მოიცავს მითითებას, რომ ფინანსურ დეკლარაციაში უნდა აისახოს დასაქმებულთა და სხვა ფიზიკურ პირთა (კონტრაქტორები, ბენეფიციარები) პერსონალური მონაცემები, როგორცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საბანკო ანგარიშის ნომერი.

წლის განმავლობაში განეული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს დეპერსონალიზებული, ჯამური სახით, მათ შორის ხარჯების კონკრეტულ კატეგორიებად (შრომის ანაზღაურება, მომსახურება და სხვ.) დაყოფის პირობებში. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების უპირობო გამოქვეყნების მოთხოვნა არ იარსებებდა.

*მნიშვნელოვანია ის ფაქტიც*, რომ კანონის 2023 წლის ვერსია, რომელიც, საბოლოოდ, ინიციატორებმა უკან გაიწვიეს, პირდაპირ ითვალისწინებდა „უცხოური ძალის აგენტად“ რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენისას, მათ შორის, ყველა დასაქმებულის ვინაობის წარდგენის ვალდებულებას და აღნიშნული ინფორმაციის საჯაროებას. [10] შესაბამისად, კანონი თავის თავში მოიაზრებდა, რომ ასეთი მონაცემების დამუშავება აუცილებელი და თანაზომიერი იყო კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამავდროულად, მსგავსი დამოუკიდებელი ჩანაწერის არსებობა მოწმობს, რომ რეგისტრაციისა და ანგარიშვალდებულების საჭირო, დასამუშავებელი ინფორმაციის თაობაზე ზოგად მითითებებში (მათ შორის, ხარჯების შესახებ ჩანაწერში, რომელიც, მოქმედ ვერსიაში, სადავო დანართით კონკრეტდება) დასაქმებულთა პერსონალური მონაცემები არ მოიაზრებოდა. ხოლო, ის ფაქტი, რომ კანონის 2024 წლის

მოქმედ ვერსიაში მსგავსი ჩანაწერი აღარ გვხვდება, მიანიშნებს, რომ კანონმდებელი დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციის დამუშავებას დასახული მიზნის მიღწევითვის *a priori* აუცილებლად აღარ მიიჩნევს. ბუნებრივია, *ზოგადი ჩანაწერების პირობებშიც* არსებობს მონაცემთა არაკეთილსინდისიერი და არათანაზომიერი დამუშავების რისკი, თუმცა, ცალსახაა, რომ საკანონმდებლო ტექსტი პირდაპირ მსგავს მონესრიგებას არ ითვალისწინებს/განერს, მით უფრო, ზემოთ განხილული სადავო საკანონმდებლო რეგულირების ანალიზის ფონზე.

*ამრიგად, იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს № 1019 ბრძანება ადგენს ახალ, კანონით დაურეგულირებელ მონესრიგებას, რომლის გავლენაც უნდა შეფასდეს სხვა უფლებებთან ურთიერთკავშირში, რათა თავიდან იქნას აცილებული დისკრიმინაციის ნახალისება.*

### **2.3. პერსონალური მონაცემების დაცვის როლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის პრევენციაში**

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, რომელიც უკვე ცალკე უფლებად არის აღიარებული[11], იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ კონტექსტში, როდესაც იუსტიციის მინისტრის სადავო ბრძანება ანებს ვალდებულებას, რომელიც დასაქმებულთა პირადი ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებას ითვალისწინებს. აღნიშნული საკითხი მოითხოვს *საკანონმდებლო რეგულაციების და სასამართლო პრაქტიკის* სიღრმისეულ ანალიზს, რათა დადგინდეს, არღვევს თუ არა ეს ვალდებულება პერსონალური მონაცემების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს და რამდენად შეესაბამება ის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

სახალხო დამცველის შეფასებით, პერსონალური მონაცემების დაცვა მჭიდრო კავშირშია პირადი ცხოვრების უფლების დაცვასთან, რადგან პირადი ინფორმაცია წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. პერსონალური მონაცემების დამუშავება, შენახვა ან გამჟღავნება უშუალოდ ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამიტომ ამ მონაცემების დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირადი სივრცის შენარჩუნებისთვის. ამ მხრივ, პირადი ცხოვრების უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა იურიდიულად და ეთიკურად გადაჯაჭვულია, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვას.

პირადი ცხოვრების დაცვა სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმით ხორციელდება, რომლებიც განსაზღვრულია როგორც საერთაშორისო[12], ასევე ეროვნული სამართლებრივი აქტებით. ეს მექანიზმები მიზნად ისახავს პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილის, კომუნიკაციისა და პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად, „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.“[13]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის მე-15 [ძველი რედაქციით მე-20 მუხლი] მუხლისა და ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ პირადი ცხოვრების უფლება არის პირის უფლება, იცხოვროს ისე, როგორც თავად სურს და მისი ცხოვრების წესი დაცული იყოს საჯაროობისგან.[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოკვეთა პირადი ინტერესი და განსაზღვრა, რომ პირადი ცხოვრება არის ინდივიდის ცხოვრება და განვითარების პირადი სფერო. უფლება პირად ცხოვრებაზე არის ინდივიდის შესაძლებლობა, თავისი შეხედულებების შესაბამისად, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი პირადი ცხოვრება, ასევე იყოს დაცული მის პირად სფეროში როგორც სახელმწიფოსგან, ისე ნებისმიერი პირის ჩარევისგან.[15]

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება წარმოადგენს იმ უფლებათა ნაწილს, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, რის მიხედვითაც უზრუნველყოფილია პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმონერის დაცვის უფლება და განსაზღვრულია პირობები, როდესაც დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა[16]. ევროსასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენებისგან დაცვის უფლება წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმონერის დაცვის უფლების ნაწილს.

იუსტიციის მინისტრის სადავო ბრძანებით, გამოქვეყნებას დაქვემდებარებული დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების ნარდგენის ვალდებულება ეკისრებათ არასამეწარმეო (არაკომერციული), იურიდიულ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არიან დაფუძნებულნი, რომლებიც არ არიან „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციები ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დანესებულებები და რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.[17] იგივე ვალდებულება ეხება ანალთგიური დაფინანსების მქონე მედიკორგანიზაციებს.[18]

შესაბამისად, პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისგან დაცვის კანონით გათვალისწინებული საფუძველი იქმნება სწორედ ამგვარ ორგანიზაციებში დასაქმებული პირებისთვის. სხვა ორგანიზაციებში

კომერციული ორგანიზაციები, სპორტული ფედერაციები, სისხლის დაწესებულებები, საჯარო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა) დასაქმებულ პირთა პირადი ცხოვრების უფლების აღნიშნულ კომპონენტის დაცვის გარანტიები კი უცვლელად რჩება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტიტუტების პრაქტიკაზე დაყრდნობით, ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის შეფასებით, გამჭვირვალობის მხოლოდ დასახელება არ წარმოადგენს აღნიშნული მიზნის ლეგიტიმურად მიჩნევის საფუძველს მაშინ, როცა კანონით რეგულირებას ექვემდებარება ორგანიზაციათა ფართო წრე, მათი საქმიანობის, დაფინანსების თუ სხვაგვარი სპეციფიკიდან გამომდინარე.<sup>[19]</sup> მაგალითად, გამართლებული შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიების ფინანსების გამჭვირვალობის მიზანი, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან დემოკრატიულ ფუნქციებს ასრულებენ.<sup>[20]</sup> ისევე, როგორც საჯარო რესურსით დაფინანსებული ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის მიზანი, რათა საზოგადოება ინფორმირებული იყოს, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო რესურსი.<sup>[21]</sup> კონკრეტული ტიპის ორგანიზაციებთან მიმართებით გამჭვირვალობის უზრუნველყოფის აუცილებლობის ამგვარი საფუძველებით დასაბუთებისა და კონკრეტული რისკების ანალიზის გარეშე, დასახელებული მიზანი გონივრულად და ლეგიტიმურად ვერ მიიჩნევა.<sup>[22]</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სახელმწიფო უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირიზონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მელრე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე. ამასთან, ადამიანის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.“<sup>[23]</sup>

**მოცემულ საქმეში შეუძლებელია, თანამშრომლების პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება დაკავშირებული იყოს ამ ორგანიზაციის ფინანსების გამჭვირვალობასთან, ვინაიდან ფინანსების გამჭვირვალობის მიზანი შესაძლებელია მიღწეულ იქნას ზემოთ განხილული პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროების გარეშე<sup>[24]</sup>. მეტიც, როგორც ვენეციის კომისია, 2024 წლის დასკვნაში მიუთითებს, ამან, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას უფლებადამცველების ან მედიაორგანიზაციების არსებობას, რომლებიც ამუშავებენ, მაგალითად, კორუფციის ფაქტებს. ცლტა ორგანიზაციას გაუჩნდება სურვილი ან ექნება შესაძლებლობა, დეტალურად წარმოადგინოს ის დოკუმენტები, რომლებმაც შესაძლოა მათი წევრების ან მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წევრების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, საჯარო სტიგმატიზაციისა და შევიწროების ქვეშ მოქცევა გამოიწვიოს.<sup>[25]</sup>**

პერსონალური მონაცემების დაცვის კონტექსტში, ხაზგასასმელია ასევე, თავშესაფრის მაძიებელი პირების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის რისკი. კერძოდ, როგორც სახალხო დამცველის აპარატისთვის გახდა ცნობილი, საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებულები არიან პირები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური შეხედულების გამო იღვენიან და საქართველოში ითხოვენ თავშესაფარს. უკვე მოქმედი კანონმდებლობით კი, დამსაქმებელი ორგანიზაცია ვალდებულია, მათი პერსონალური ინფორმაცია გაასაჯაროს და მათ შორის, მათი ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება მოხდეს კონკრეტული დროის მონაკვეთში (მაგალითად, მივლინების შესახებ ინფორმაციის ასახვისას)<sup>[26]</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. თავშესაფრის უფლების განუყოფელი ნაწილია *კონფიდენციალურობის პრინციპი*, რაც გულისხმობს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე მათი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესახებ მონაცემებისა და სხვა ინფორმაცია კონფიდენციალურობასა და მათი სხვა ორგანიზაციებისთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისა და მოქალაქეებისთვის, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის გამჟღავნების დაუშვებლობას<sup>[27]</sup>. მოცემული პრინციპი თავშესაფრის მაძიებლებსა და საქართველოში საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთათვის უსაფრთხოების გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს. თავშესაფრის მაძიებლებსა და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებს, აქვთ მოლოდინი, რომ წარმოშობის ქვეყნისათვის მათი ადგილსამყოფელის, საქმიანობის და სხვა პირადი ინფორმაციის შესახებ არ გახდება ცნობილი, რაც მათი დაცულობის გარანტს ქმნის. ასეთი პირების პერსონალური მონაცემების გამჟღავნებით, დამატებით იქმნება სახიფათო პრეცედენტი კონფიდენციალურობის დარღვევის კუთხით, ვინაიდან, შესაძლებელი ხდება, რომ იმ ქვეყნისთვის, საიდანაც ისინი იღვენიან, მათ შესახებ ინფორმაცია გახდეს ხელმისაწვდომი და საჯარო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, „უცხოელი აგენტების“ ფიზიკური პირების და სხვა სუბიექტების პერსონალური მონაცემების შეგროვება და რეესტრში გამოქვეყნება წარმოადგენს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, რაც არ არის გამართლებული, რადგანაც მას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი. ვენეციის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ „უცხოელი აგენტის“ აღნიშვნის სტიგმატიზებული ბუნების გამო, საჯარო რეესტრი სავარაუდოდ შელახავს სუბიექტებისა და ფიზიკური პირების რეპუტაციას და სერიოზულად შეაფერხებს მათ საქმიანობას<sup>[28]</sup>.

ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული რეგულაცია, თავისი ბუნებით, უცხოური ძალის ინტენსივობის გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს, ტოვებს სრულიად დაუცველ მდგომარეობაში საზოგადოების სხვა წევრების წინაშე, იწვევს მათ სტიგმატიზაციას და, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სანიაღვრედ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. ამგვარი ჩარევა, რომელიც პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამჟღავნებას გულისხმობს, გაუმართლებელი და არაპროპორციულია, რაც არღვევს მათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ყველა ასეთ საქმეში, ხელისუფლებამც დაკისრებულია მძიმე ტვირთი გაამართლოს შესაბამისი შეზღუდვის აუცილებლობა.

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში დასაქმებული პირების (გარდა მენეჯერულ, გადამწყვეტილებების მიმღებ და სხვა სპეციფიკურ პოზიციებზე დასაქმებული პირების) სახელის, გვარის, პირადი ნომრისა და საბანკო რეკვიზიტების საჯაროდ ხელმისაწვდომ რეესტრებში გამოქვეყნების მოთხოვნებს. შესაბამისად, სადავო მონესრიგებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან რეგულირებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები მაშინ, როცა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისგან დაცვის მიზნებისათვის, ისინი ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა ორგანიზაციებში/დაწესებულებებში დასაქმებულ პირებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანების გარკვეული ტიპები, როგორცაა ფონდები, ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, უმცირესობათა ან/და დაუცველი ჯგუფების უფლებების ხელშეწყობი ორგანიზაციები, ახალგაზრდული და ბავშვთა ორგანიზაციები, ეკოლოგიური ორგანიზაციები და საცხოვრებელი გაერთიანებები, ასევე შეიძლება დაექვემდებაროს სპეციალურ კანონმდებლობას. ასეთმა სპეციალურმა დებულებებმა შეიძლება აღიაროს მათი განსხვავებული საჭიროებები და, შესაბამისად, მიმართული უნდა იყოს მათი საქმიანობის ხელშეწყობისკენ და არა მათი შეფერხებისკენ.[29]

სახალხო დამცველის შეფასებით, ორგანიზაციის წევრთა ვინაობებისა და სხვა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება მსუსხავ ეფექტს ახდენს გაერთიანების თავისუფლებაზეც. ვინაიდან პოტენციური თავდასხმის თუ სხვა რისკებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ორგანიზაციამ დაკარგოს წევრები და ვეღარ მოიზიდოს ახალი თანამშრომლები, განსაკუთრებით, იმ სტიგმის პირობებში, რომელიც უცხოური ძალის ინტენსივობის გამტარებელი ორგანიზაციის სტატუსს უკავშირდება.[30] ამგვარი ფართო უფლებამოსილების მინიჭება და დიდი მოცულობის ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა ასევე, უნდობლობის ფაქტორს ქმნის და მსუსხავ ეფექტს იქონიებს არასამთავრობო ორგანიზაციების ბენეფიციარებისთვის და მედიასაშუალებების წყაროებისთვის, საკუთარ პერსონალური მონაცემები და მათ შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადონ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის. ამრიგად, აღნიშნული მონაცემების გასაჯაროება დამატებითი გარემოება იქნება პირებისთვის საქმიანობა გააგრძელონ ან დასაქმდნენ ამ ორგანიზაციებში. ვინაიდან მათი ინტენსი, როგორც მონაცემთა სუბიექტების, რომ მათი პერსონალურ მონაცემები იყოს დაცული და არ გასაჯაროვდეს უგულებელყოფილია. შესაბამისად, ეს იქნება დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორი ორგანიზაციებისთვის მოიზიდონ, დაიქირაონ და შეინარჩუნონ პერსონალი, რათა ეფექტურად განახორციელონ ის საქმიანობა, რასაც აქამდე ემსახურებოდნენ.

ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ „გაერთიანებებს არ უნდა ეკისრებოდეთ ზოგადი ვალდებულება, გაამჟღავნონ [მათი] წევრების ვინაობა და მისამართები, რადგან ეს მათი გაერთიანების თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან იქნებოდა შეუთავსებელი“.[31] იგი ასევე აღნიშნავს, „რომ ისეთი რადიკალური ზომა, როგორც „საჯაროდ გამჟღავნების ვალდებულება“ (ანუ, დაფინანსების წყაროს და დონორთა ვინაობის გასაჯაროება) შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებთან და იმ სუბიექტებთან მიმართებით, რომლებიც ოფიციალურად ეწევიან ანამლაურებად ლობისტურ საქმიანობას“.[32] ამდენად, რაც უფრო ფართოა კანონით გათვალისწინებული გასაჯაროების ვალდებულებები, მით უფრო რთულია, მთლიანობაში, საქართველოს ხელისუფლებისთვის ასეთი ზომების აუცილებლობის დასაბუთება, როდესაც საქმე გაერთიანების თავისუფლებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებას ეხება, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვასაც გულისხმობს.[33]

#### **2.4. საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკა ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნებაზე**

როგორც აღინიშნა, პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე, რადგან ის უშუალოდ უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პიროვნების განვითარების უფლებებს, გაერთიანების თავისუფლებას და სხვ. ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამჟღავნება წარმოადგენს სერიოზულ ჩარევას მათ პირად სივრცეში და ხშირად იწვევს დისკუსიას სამართლებრივ და ეთიკურ ჭრილში. ამდენად, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოები არაერთგზის გამოდიან პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპის დაცვის მხარდამჭერად, განსაზღვრავენ რა მკაცრ სტანდარტებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია პირადი ინფორმაციის გამჟღავნებისას. მოცემული საკითხის ირგვლივ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რომ პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნება დასაშვებია მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული პირობების არსებობისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია პროპორციულობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

მაგალითად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ *მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს* გადაწყვეტილება *Volker und Markus Schecke GbR and Hartmut Eifert v. Land Hessen (Case C-92/09)* საქმეზე. კერძოდ საკითხი შეეხებოდა ისეთი პერსონალური ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებას, სადაც ასახული იყო სახელმწიფოს მიერ, ფერმერებისთვის მიცემული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების სესხის ბენეფიციარების პერსონალური ინფორმაცია.

სასამართლოს მითითებით, პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე განმარტა, რომ პერსონალური ინფორმაციის დაცვის უფლება გააჩნდათ, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებს, თუმცა არსებობდა გარკვეული განსხვავება. ამდენად, საქმეზე უნდა შეფასებულიყო ორი უფლების დაბალანსების საკითხი, კერძოდ, უნდა გადაწყვეტილიყო რომელი პრევალირებდა: ა) სახელმწიფოს ინტერესი უზრუნველყო გაცემული გრანტების გამჭვირვალობა, თუ ბ) გრანტების ბენეფიციარების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამჭვირვალობის დაცვა მნიშვნელოვანი მიზანია, თუმცა საქმის მასალებში არ იკვეთებოდა, რომ ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაციის საჯარო გავრცელებით იყო შესაძლებელი (ფიზიკური პირების შემთხვევაში).

თუმცა, იგივე სტანდარტი სასამართლომ არ გაავრცელა იურიდიულ პირებზე და აღნიშნა, რომ მათი პერსონალური ინფორმაციის გავრცელება არ არღვევდა პროპორციულობის პრინციპს. ეს დასკვნა იქიდან გამომდინარეობდა, რომ პერსონალური ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვაგვარ ზიანს აყენებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ამიტომ სასამართლომ იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება არ მიიჩნია არაპროპორციულ ზომად.[\[34\]](#)

რაც შეეხება ევროპული ქარტიის მე-8(1) მუხლით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქარტიის მე-7 მუხლით გარანტირებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან, თავის მხრივ, გამორიცხავს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებას მესამე პირებზე, იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები თუ ნებისმიერი სხვა პირი. სასამართლო მიუთითებს, რომ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც გულისხმობს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, უნდა ჩაითვალოს, როგორც ქარტიის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.[\[35\]](#)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლება აიძულებს საჯარო ხელისუფლებას, თავი შეიკავონ ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევისგან პირთა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში. ამგვარად, ის აკისრებს ნეგატიურ და უპირობო ვალდებულებას საჯარო ხელისუფლებას[\[36\]](#). სასამართლომ დაადგინა, რომ დებულებები, რომლებიც სახელმწიფო/საჯარო ორგანოებს საშუალებას აძლევს ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები დაამუშაონ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე და შემდგომ გამოიყენონ აღნიშნული მონაცემები, გაჩივდება როგორც ჩარევა მათ პირად-ცხოვრებაში და შესაბამისად, წარმოადგენს ქარტიის მე-7 მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვას. სასამართლოს შეფასებით ამგვარ ჩარევას ვერ ექნება პოტენციური გამართლება.[\[37\]](#)

არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აღძრულ დავებში. ეროვნული პრაქტიკის თვალსაჩინოებისთვის, მიუთითებთ რუსთავის საკრებულოს წინააღმდეგ დავას, სადაც კასატორის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს საჯარო მოხელეებზე გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციის გაცემა (ინდივიდუალურად). სასამართლომ პრემიების, როგორც პირის კერძო საკითხის სამართლებრივ ბუნებაზე ისაუბრა და აღნიშნა: „[...] მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არის პირის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი.“ საკასაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ განჩინებაში ერთმანეთისგან გამიჯნა თანამდებობის პირთა (მათ შორის, თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) და სხვა საჯარო მოხელეთა პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი. „თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯაროება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს - უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსფერენტობა, გამჭვირვალობა. [...] ამდენად, მომეტებელი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები [...] ღიაა.“ რაც შეეხება სხვა საჯარო მოხელეთა პრემირებას, სასამართლომ განსხვავებული სტანდარტი დაამკვიდრა და აღნიშნა რომ, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენდნენ თანამდებობის პირებს, მათ მიერ მიღებული პრემიების შესახებ ინფორმაცია პერსონალური მონაცემია და დაუშვებელია გაცემა თვით ამ პირების თანხმობის გარეშე.[\[38\]](#)

საინტერესოა ყურადღების გამახვილება აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაზე, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი საქმეა განხილული, რომლებიც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას და მათი საჯაროდ გამოქვეყნების საკითხებს.

მაგალითად, საქმე *NAACP v. Alabama (1958)* - სასამართლომ დარღვევა დაადგინა ისეთ საქმეში, სადაც პერსონალური მონაცემების გასაჯაროების კომპონენტიც კი არ არსებობდა. უბრალოდ, ორგანიზაციის წევრების სიების გადაცემას ავალდებულებდნენ შესაბამისი სახელმწიფო დანესტებულებისთვის.

სასამართლომ ასეთი მოთხოვნა გაერთიანების თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტის მქონედ შეაფასა და განაცხადა, რომ ამან შეიძლება ორგანიზაციის საქმიანობასაც შეუშალოს ხელი, რადგან წევრები დატოვებენ ამ ორგანიზაციას, ხოლო სხვებს აღარ მოუნდებათ განწევრიანება, ვინაიდან შეიძლება თავდასხმის ობიექტები გახდნენ და სხვ.[39]

კიდევ ერთ საქმეში - Shelton v. Tucker (1960, Arkansas) - აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განიხილა არკანზასის შტატის კანონის კონსტიტუციურობა, რომელიც მოითხოვდა მასწავლებლებისგან მიეღოთ ყველა ორგანიზაციის სია, რომელთა წევრებიც იყვნენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. კანონის მიზანი იყო კომუნისტების იდენტიფიცირება. ამ სიაში უნდა შეტანილიყო ყველა ორგანიზაცია, დამოუკიდებლად მისი ბუნების, და სიის არ მიწოდების შემთხვევაში, მასწავლებელს ემუქრებოდა სამსახურიდან გათავისუფლება. [40]

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს კანონი არღვევდა პირველი შესწორებით დაცულ თავისუფლებას და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონი იყო შეუსაბამო და ზედმეტად ფართო, ვინაიდან ის მოითხოვდა ინფორმაციას ყველა ორგანიზაციის შესახებ, განურჩევლად მათი საქმიანობის ფორმისა, მნიშვნელობისა ან რელევანტურობისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება შიშისა და საზოგადოებრივი წნეხის ატმოსფეროს ქმნიდა, რაც გავლენას მოახდენდა მასწავლებლების გამოხატვის თავისუფლებასა და გაერთიანების თავისუფლებაზე.

ამ გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების უგულებელყოფა ქმნის სერიოზულ რისკებს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებებისა და უფლებების დაცვისთვის. უმნიშვნელოვანესია, მონაცემთა დამუშავებისას დაცული იქნეს შემდეგი მონაცემთა დამუშავების პრინციპები: ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, ბ) მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად; გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის.

### **2.5. სადავო რეგულაციის წინააღმდეგობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებასთან**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ დონეზე უზრუნველყოფა და საერთაშორისო სტანდარტების დამკვირდება წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ნაწილსაც. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგები ითვალისწინებს შესაბამისი საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის გაზრდის მიმართულებით, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა დაცვის სტანდარტების გამოყენების კონტროლს, მონაცემთა დაცვის სტანდარტების კერძო სექტორზე გავრცელების უზრუნველყოფას, მონაცემთა დაცვის ორგანოს დამოუკიდებლობითა და მისი შესაბამისი რესურსებით აღჭურვას.[41]

2018 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის [მოქმედი] ზოგადი რეგულაცია („General Data Protection Regulation“)[42]. ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2019 წელს საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი, რომელიც „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის GDPR-თან ჰარმონიზებასა და კონსოლიდაციას ემსახურებოდა[43]. რეგულაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვა სრულიად ახალ საფეხურზე გადაჰყავს და მიზნად ისახავს ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე გამოწვევების პირობებში ინდივიდების უფლებების სათანადო დაცვას. რეგულაცია ამკვიდრებს ისეთ ახალ პრინციპებს, როგორცაა მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება, მონაცემთა პორტირება, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების ვალდებულება და სხვა.

საინტერესოა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები განმარტებით ბარათში მიუთითებენ, რომ საქართველოს, როგორც ევროპული სამართლებრივი კულტურისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესში მყოფი ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციასთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და, შესაბამისად, ახალი დემოკრატიული სტანდარტების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

2024 წლის 1 მარტიდან, საქართველოში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი ამოქმედდა[44]. ახალი კანონის მიღებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა არსებითად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტს, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში მონაცემთა დაცვის მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას უზრუნველყოფს. ახალი კანონი არაერთ მნიშვნელოვან ცვლილებას და სიახლეს ითვალისწინებს, მათ შორის, აფართოებს მონაცემთა სუბიექტების უფლებებს და ზრდის მათი დაცულობის ხარისხს.

**სახალხო დამცველის შეფასებით, გემთ განხილული საკანონმდებლო განვითარების ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლის სურვილია პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, ამის რეალიზება არსებითი რისკის წინაშე დგება. სადავო რეგულირება „მსუსხავი ეფექტის“ გამო ვერ ახერხებს ამ უფლების დაცვას - პირიქით, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას იმ ადამიანის უფლებებს, რომლებიც აღნიშნული რეგულირების ქვეშ ექვეფიან. „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით სადავო**



რეგულირების ზემოქმედება ზემოთ განხილული უფლებების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მონესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა. ამგვარად, სადავო რეგულირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი ჩაკეტვა, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, მოახდინონ პიროვნების განვითარების უფლების თვითშეზღუდვა.

### 3. დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ მინისტრის ბრძანებით იქმნება მოცემულობა, რის შედეგადაც, საჯაროდ გამოქვეყნებას ექვემდებარება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემები, ადგილი აქვს გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

თავის მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სადავო რეგულირებით დადგენილი არსებული მონიტორინგის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ნაწილში, სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის მაღალ რისკს ქმნის. პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნება გაუმართლებელია და ზიანის მომტანია, აქვს ძლიერი შემბოჭველი, მსუსხავი და მასტიგმატიზირებული ეფექტი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა საქმიანობაზე.

რელევანტური ევროპული ინსტიტუტები და ამერიკის უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებებთან შეუსაბამოდ მიიჩნევენ არა მხოლოდ დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებას (disclosure requirements), არამედ - მაკონტროლებელი ორგანოსთვის მათი სიების გადაცემასაც (reporting obligations).<sup>[45]</sup> იგივე სტანდარტი აქვს დადგენილი საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

დაბოლოს, აშკარაა, რომ ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში განული ხარჯებისა და უცხოური დაფინანსების მიზნობრიობის თაობაზე რელევანტური დანესებულებებისა და საზოგადოების ინფორმირება აღნიშნული ხარჯების დეპერსონალიზებული ფორმით ან ჯამური სახით (total numbers) გამოქვეყნებითაც შეიძლება განხორციელდეს. არსებული ფორმით დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროება მით უფრო არათანაბრობს რელევანტურ უფლებებში ჩარევის იმ ინტენსივობიდან გამომდინარე, რომელზეც ზემოთ, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის ხელშეშლის ქვეთავებში უკვე მიეთითა (მსუსხავი ეფექტი, უსაფრთხოების რისკები, სხვებთან გაერთიანებისა და დასაქმების ადგილზე წვდომის კუთხით წარმოქმნილი ბარიერები და სხვ.).

ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი იუსტიციის მინისტრს მიმართავს ზოგადი წინადადებით,

- ცვლილებები შეიტანოს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს № 1019 ბრძანებაში ისე, რომ რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დეკლარაციებში მითითებულ ფიზიკურ პირთა, მათ შორის, დასაქმებულთა, პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საბანკო ანგარიშის ნომერი, სხვ.) საჯაროდ გამოქვეყნებას არ დაექვემდებაროს.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[1] განმცხადებელი: თ კ , ა(ა)იპ „მ ს ში“ დასაქმებული პირი.

[2] „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს № 1019 ბრძანება, <https://shorturl.at/1phAm>

[3] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 6.

[4] იქვე, მუხ. 3.

[5] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი. <https://bit.ly/4dG6WMe>

[6] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4.6, მუხ. 6.3.

[7] იქვე, მუხ. 6.2.

[8] იქვე, მუხ. 6.1, რომელიც მე-4 მუხლის მე-3 პუნქტზე ამისამართებს; მუხ. 4.3(„დ“-„ე“).

- [9] „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს № 1019 ბრძანება, მუხ. 4.3.
- [10] „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხ. 3.3(„გ“), მუხ. 3.5, ხელმისაწვდომია: [https://www.iccn.ge/files/06.03.2023\\_.pdf](https://www.iccn.ge/files/06.03.2023_.pdf)
- [11] 2001 წელს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის (Charter of Fundamental Rights of the European Union) მიღებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვა არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში, არამედ ცალკე მდგომ, თვითმყოფად უფლებად ჩამოყალიბდა. კერძოდ, გარდა ქარტიით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა, ქარტიის მე-8 მუხლი ადგენს შემდეგს: „ყოველ ადამიანს აქვს თავისი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება. ამგვარი მონაცემი უნდა მუშავდებოდეს სამართლიანად, განსაზღვრული მიზნებისათვის და დაინტერესებული პირის თანხმობით ან სხვა კანონიერი საფუძვლით, რომელიც კანონით განისაზღვრება. ყოველ ადამიანს აქვს თავის შესახებ არსებულ მონაცემზე ხელმისაწვდომობისა და მისი შესწორების უფლება. იხ. <https://shorturl.at/A0x3T>
- [12] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR) (1948 წელი), მუხ. 12; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICCPR) (1966 წელი), მუხ. 17; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (Pact of San José) (1969 წელი), მუხ. 11.
- [13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 15.
- [14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2003 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №3კ/1240-02).
- [15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/3/407), გვ. 8
- [16] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წელი), მუხ. 8.
- [17] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 2.1(„ა“).
- [18] იქვე, მუხ. 2.1(„ბ“-„დ“).
- [19] იქვე.
- [20] იქვე.
- [21] იქვე.
- [22] იქვე.
- [23] საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/4/557,571,576, 13 ნოემბერი, 2014
- [24] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება კონსტიტუციურ სარჩელებზე (რეგისტრაციის № 1828, № 1829, № 1834), რომლებითაც სადავო არის გამხდარი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხი. <https://shorturl.at/L4E9M>
- [25] Urgent Opinion on the Law on Transparency of Foreign Influence, European Commission for Democracy through Law, CDL-PI(2024)013, Strasbourg, 21 May 2024, par.78. იხ. <https://shorturl.at/BiJEb>
- [26] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება კონსტიტუციურ სარჩელებზე (რეგისტრაციის № 1828, № 1829, № 1834), რომლებითაც სადავო არის გამხდარი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხი. <https://shorturl.at/L4E9M>
- [27] საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 5, პუნქტი 1.
- [28] Venice Commission, Russian Federation - Opinion on the Compatibility with international human rights standards of a series of Bills introduced to the Russian State Duma between 10 and 23 November 2020, to amend laws affecting "foreign agents", CDLAD(2021)027, para. 62.
- [29] Guidelines of Freedom of Association, OSCE/ODIHR 2015, გვ 34.
- [30] იხ. მაგალითად, ეუთო/ოდირის 2023 წლის 25 ივლისის მოსაზრება ე.წ. „უცხოური აგენტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ, პარ. 102, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/2/9/556074.pdf>; ვენეციის კომისიის 2024 წლის 21 მაისის მოსაზრება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, პარ. 78-79; ასევე, ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები NAACP v. Alabama (1958), Shelton v. Tucker (1960) და Gibson v. Florida Legislative Investigation Committee (1963).
- [31] CDL-AD(2019)002, ანგარიში გაერთიანების დაფინანსების შესახებ, პუნქტი 167.
- [32] CDL-AD(2014)046, ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 165;

[33] როგორც გაერთიანების დაფინანსების შესახებ ანგარიშშია აღნიშნული, „საერთაშორისო დაფინანსების მიღების საჯაროდ გამჟღავნების ვალდებულებები, ხშირ შემთხვევაში, დაფინანსების მიმღები გაერთიანების საზოგადოებრივი გაკიცხვის ობიექტად ქცევასა და დასახული მიზნის მიღწევაში მათთვის მეტი სირთულეების შექმნას ისახავს მიზნად“. CDL-AD(2019)002, ანგარიში გაერთიანების დაფინანსების შესახებ, პუნქტი 85.

[34] Volker und Markus Schecke GbR and Hartmut Eifert v. Land Hessen (Case C-92/09). <https://shorturl.at/YVSiO>

[35] (judgments of 9 November 2010, Volker und Markus Schecke and Eifert, C-92/09 and C-93/09, EU:C:2010:662, paragraph 47, and of 24 November 2011, Asociación Nacional de Establecimientos Financieros de Crédito, C-468/10 and C-469/10, EU:C:2011:777, paragraph 41.

[36] მაგალითად, იხ. ECtHR, 24 June 2004, Von Hannover v. Germany, § 57, and ECtHR, 20 March 2007, Tysiāc v. Poland, §§ 109 and 110,

[37] judgments of 20 May 2003, Österreichischer Rundfunk and Others, C-465/00, C-138/01 and C-139/01, EU:C:2003:294, paragraphs 73 to 75 and 87 to 89; of 9 November 2010, Volker und Markus Schecke and Eifert, C-92/09 and C-93/09, EU:C:2010:662, paragraphs 56 to 58 and 64; and of 2 October 2018, Ministerio Fiscal, C-207/16, EU:C:2018:788, paragraphs 48 and 51).

[38] კვლევა „პერსონალური მონაცემების დაცვა და პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა“, ევროპის საბჭოს კვლევა, თბილისი, 2022, გვ. 30.

[39] U.S. Reports: N. A. A. C. P. v. Alabama, 357 U.S. 449 (1958). იხ. <https://shorturl.at/wZTv5>

[40] Shelton v. Tucker, 364 U.S. 479 (1960). იხ. <https://shorturl.at/XeNKH>

[41] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, მუხ. 14. იხ. <https://shorturl.at/u0I2r>


[42] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას. აღნიშნული რეგულაცია წარმოადგენს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეფორმის ნაწილს. რეფორმის ფარგლებში მიღებულია ასევე 2016 წლის 27 აპრილის დირექტივა (EU) 2016/680, რომელიც არეგულირებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავებას. იხ. <https://shorturl.at/ZNf5h>

[43] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი: <https://shorturl.at/ZwOkk>

[44] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. იხ. <https://shorturl.at/Aj8cd>

[45] მაგალითად, იხ. ეუთო/ოდირის 2023 წლის 25 ივლისის მოსაზრება ე.წ. „უცხოური აგენტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ, პარ. 101-105, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/2/9/556074.pdf>; ვენეციის კომისიის 2024 წლის 21 მაისის მოსაზრება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, პარ. 78-79; ასევე, ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები NAACP v. Alabama (1958), Shelton v. Tucker (1960) და Gibson v. Florida Legislative Investigation Committee (1963).

საქართველოს სახალხო დამცველი



ლევან იოსელიანი